კ ა ნ ო ნ ი

მოკლე ვადიანი 5% სახელმწიფოს ხაზინის ვალდებულების გამოცემისა.

I. ფულის ცრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებრივის ხარჯის დასაკმაყოფილებლად მიეცეს რესპუბლიკის მთავრობას უფლება გამოხცეს ორმოცდა ათი მილიონი /50.000.000/ მანეთის 5% მოკლე ვადიანი სახელმწიფოს ხაზინის ვალდებულებანი ერთის წლის ვადით.

2. ვალდებულებანი უნდა იყოს უსახელო და დაყოფილი შემდეგ კუპიურებად: 5.000 მან., I000 მან., 500 მან., I00 მან. და 25 მანეთიანად.

<u>შენიშვნა:</u> თუ მსურველი აღმოჩნდა 5000 მ. და I000 მანეთიანი უსახელო ვალდებულებანი შეიძლება გადაკეთდეს სახელდებულ ვალდებულებად და ჩაიწეროს ფფილისის ხაზინის წიგნებში.

3. აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულ იქნეს სახელმწიფოს გადასახადისაგან.

4. ვალდებულება გაიცემა და მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალ-გასავალის დასაფარავად და აგრეთვე საწინდრადაც.

5. ვალდებულებათა შემენა შეიძლება სახელმწიფოს ბანკის კონტორასა და განყოფილებაში, რესპუბლიკის ხაზინებში და ყოველ კერძო საკრედიტო დაწესებულებაში.

6. ვალდებულების მქონეს სარგებელი მიეცემა წინდაწინ ლილან მისი შემენისა.

7. ვალდებულების სარგებლის დასაფარავად შეტანილ იქნეს რესპუბლიკის I9I9 წლის ხარჯთაღრიცხვაში ორ მილიონ ნახევარი /2500000/ მან.

8. გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ვალდებულებათა გამოცემის ხარჯის დასაფარავად კრედიტი ასი ათასი მანეთისა /I00000/, რაიცა შეტანილ იქნეს I9I9 წლის ხარჯთაღრიცხვაში.

9. ფინანსთა მინისტრს მიენდოს კანონის განსახორციელებლად სათანადო ინსტრუქციების გამოცემა თანხმად ამა კანონისა და საკრედიტო წესდებისა /რუსეთის კანონთა კრებული ტ. II ნაწილი

მეორე, გან. მეორე 152 მუხლიდან 184 მუხლამდე/.

10. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა პარლამენტის მიერ.

1918 წ. დეკემბრის 24.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე